ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47. 4723270001**
თარიღი:**27/09/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომის

ოქმი N5

დ. ჩოხატაური 22.09. 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე

სხდომის მდივანი: მაია გიორგაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

მარინე ბერაძე, მარიტა მგალობლიშვილი, თეა მამალაძე, მაია გიორგაძე, ქეთევან სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, მაია პაიჭაძე, ,სოფო ჯინჭარაძე, ნინო კაპანაძე.

არ ესწრებოდნენ: ნათია ლალიაშვილი, მანანა მინდაძე, მედეა შარაშიძე, მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე, ნანა ცინცაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებიან მოწვეული პირები:

- მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - მაია კუტუბიძე
- მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - მაია გოგოლაძე

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. შშმ პირი დედის განცხადების განხილვა და რეკომენდაციის მომზადება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად.

   მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში გამოსაცხადებელი კონკურსის პირობებისა და გამოცხადების ვადების განსაზღვრა.

   მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. შშმ პირთა დედების დახმარების მუნიციპალური პროგრამის შეფასების განხორციელების შესახებ.

   მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1. პირველი საკითხის „ შშმ პირი დედის განცხადების განხილვა და რეკომენდაციის მომზადება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად“ შესახებ მოხსენება გააკეთა ზაალ მამალაძემ და საბჭოს წარუდგინა შშმ პირის დედის ლეილა კოტრიკაძის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და მოთხოვნას.

მაია გიორგაძემ აღნიშნა: ლეილა კოტრიკაძე არის 2 შშმ შვილის დედა, ცხოვრობს ეკონომიკურად შეჭირვებულად, იგი ყოველ კვირას მუნიციპალიტეტის აგრარულ ბაზარში ყიდის ბოსტნეული თესლს, ასვე აწარმოებს მას და ამით მცირედ შემოსავალს იღებს, კარგი იქნება თუ ამის განვითარებაში ხელს შევუწყობთ.

კენჭისყრის შედეგად კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, მიეცეს რეკომენდაცია ლეილა კოტრიკაძეს(პ/ნ 46001006750) მასზედ, რომ ისარგებლოს მუნიციპალური პროგრამით და შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსოს მის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს იდეა.

2. საკითხი შეეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოსაცხადებელ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერ კონკურსს.

მომხსენებელმა მარინე ბერაძემ საკოკურსო პირობებისა და განაცხადის შესახებ ინფორმაცია დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს.

საკონკურსო პირობებთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა მაია კუტუბიძემ, რომელმაც აღნიშნა რომ კონკურსში მონაწილეობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა უნდა იყოს მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ფაქტობრივი ცხოვრება.

მარიტა მგალობლიშვილმა აღნიშნა: აუცილებლად გადავამოწმოთ არის თუ არა გარდა რეგისტრაციისა ფაქტობრივად მცხოვრებნი მუნიციპალიტეტში და პროექტიც რა თქმა უნდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს.

აზრი გამოთქვა მაია პაიჭაძემ და განმარტა:ვეთანხმები მოთხოვნებში უნდა დარჩეს მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის პირობა და აუცილებლად ადგილზე ფაქტობრივად მაცხოვრებელი უნდა იყოს განმცხადებელი. ასევე მნიშვნელოვანია რამდენად შეძლებენ კონკურსში მონაწილეობას სოციალურად დაუცველი ქალები.

თეა მამალაძემ განმარტა: შესაძლოა მათთვის კონკურსის წესით გათვალისწინებული თანხის დარიცხვის შემთხვევაში პრობლემები შეექმნათ სახელმწიფოდან სოციალური დახმარების მიღების კუთხით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მაია გოგოლაძემ აღნიშნა, რომ კონკურსის აპლიკანტმა, თანადაფინანსებითვის გათვალისწინებული 10%-ის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს ბანკიდან ამონაწერი პირად ანგირშზე თანხის არსებობიოს შესახებ.

ზაალ მამალაძე განმარტავს, რომ კონკურსის განაცხადში მიეთითოს იმის შესახებ, რომ განხორციელდება გამარჯვებულის მიერ პროექტის განხორციელების ეტაპზე, როგორც შუალედური, ასევე საბოლოო მონიტორინგი.

კონკურსის პირობების და განაცხადის საბოლოო შეჯერებული ფორმა წარედგინა საბჭოს (იხ. ოქმის დანართი N1საკონკურსო პირობები დანართიN2განაცხადის ფორმა).

კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე, ასევე მერიის, საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს ოფიციალურ FB გვერდებზე.

სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დანართი N1 საკონკურსო პირობები, დანართი N2განაცხადის ფორმის საბოლოო შეჯერებულ ვერსიებს (იხ. დანართი N1, დანართი N2).

მესამე საკითხი შეეხება შშმ პირთა დედების დახმარების მუნიციპალური პროგრამის შეფასების განხორციელებას, რომლის შესახებაც ინფორმაცია წარმოადგინა მარინე ბერაძემ.მომხსენებელმა განმარტა, პროგრამა მიმდინარეობს წარმატებით, განცხადებით მუნიციპალიტეტს მომართა თერთმეტმა ბენეფიციარმა. სასურველია პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელდეს ბენეფიციარებთან გასაუბრება და გამოკითხვა, აღნიშნული

პროგრამით სარგებლობისას მისი ეფექტიანობისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების არსებობის შესახებ, რათა მომავალ წელს პროგრამა გაგრძელდეს უფრო ეფექტურად.

მესამე საკითხსაც სხდომის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შშმ პირთა დედების დახმარების მუნიციპალური პროგრამის შეფასების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი